საქართ. შემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ პარტია

შთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

ხუთშაბათი, იანვრის 5 1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო შემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ხელოვნების სასახლე
სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს იანვრის 5-ს
სრულიად საქართველოს მწერლობის კავშირი
მეშვიდე ლიტერატურული ხუთშაბათი
ობოლი მუშა
„პროლეტარული პოეზია“
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.
დასწრება შეუძლია ყველას, შესვლა უფასოა. 402

## განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

## ჩვენი ინტელიგენციის ნაწილს

როდესაც ჩვენში პირველად ბოლშევიკური ძალა-უფლება დამკვიდრდა, გამოვსთქვით ჩვენი აზრი საქართველოში მომხდარ სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებზე და მეტად ოპტიმისტური შეხედულებას ვადგექით. ასეთ საპასუხისმგებლო დიაგნოზს ვუხმობდით ჩვენ მომავალს პოლიტიკურს სიტუაციას, რადგან გამოვდიოდით ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური პირობებისაგან და იმ ურთიერთობისაგან, რომელიც შესაძლებელი იყო დამყარებულიყო მშრომელთა დიქტატურის გამარჯვების დღიდან საქართველოში. ათი თვის შემდეგ საბჭოთა ძალა-უფლების არსებობისა, ჩვენ შეგვიძლია უკან მივიხედოთ და ერთგვარად შევამოწმოთ სინამდვილეში ჩვენ მოსაზრებათა სიმართლე და პოლიტიკური ღირებულება ნათქვამისა წარსული წლის ძალთა ქიდილის დასახასიათებლად. და კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში გამართლდა დებულება, რომელიც ამბობდა, რომ საქართველოში არ არსებობს კლასი და სოციალური კატეგორია, რომელიც თვალსაჩინო ძალად დაუპირდაპირდეს მუშათა და გლეხთა ბატონობას ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა სისტემა მიიღო გლეხობამ, საფუძველი ჩაუყარა ახალ სახელმწიფოებრივ აპარატს ქართველმა მუშამ, მაგრამ მას სავსებით არ შეურიგდა ქართველი ინტელიგენციის ნაწილი. ჩვენ ამას არ მოველოდით და ვფიქრობდით: ქართველი ინტელიგენცია უწინარეს ყოვლისა შრომის შვილია, იგი არ ითვლის თავის წინაპრად ჩასუქებულ მყვლეფელს ბურჟუაზიას, მაშასადამე ჩვენ უფლებაც გვქონდა გვეფიქრა, რომ ქართველი ინტელიგენცია შეეგუებოდა იმ მშრომელი კლასის პოლიტიკურ მპყრობელობას, რომლის წრიდანაც იგი გამოვიდა და რომლის განვითარების აუცილებელი თანამგზავრადაც იგი ითვლებოდა.

აღნიშნულ მოსაზრებათა გარდა არსებობდა ობიექტიური პირობანი, რომელიც მოითხოვდა ჩვენი ინტელიგენციისაგან მეტს დაკვირვებას და ისტორიული გაკვეთილებით სარგებლობას. ამ გაკვეთილის გადმოცემას მთელი ოთხი წლის განმავლობაში ასრულებდა ყველა პედაგოგზე უფრო გამოცდილი და გენიალური ახსნის უნარით აღჭურვილი რუსეთის დიდი რევოლიუცია. იმდენად შთაგონებითი ძლიერების აღმოჩნდა რუსეთის რევოლიუცია, რომ მან ისტორიისგან განწირული კლასის—ბურჟუაზიის წრეებშიაც კი მოახდინა თვისი სასწაულებრივი ზეგავლენა და ბურჟუაზიული ინტელიგენციაც კი დააჩოქა მისთვის მწარე სინამდვილის წინაშე. „Смена Вехи“-ს ავტორებმა ისე, როგორც გენ. სლაშჩევებმა დაინახეს მწარე გამოცდილებით, რომ ძათთვის საზიზღარი და მიუწვდომელი სოციალური ურთიერთობა და პოლიტიკური კონიუნქტურა დამყარდება მათივე ხების გარეშე, ისტორიის იმპერატიული კარნახით. რუსის ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ შეიგნო, რომ ის, რაც მყარდება, მართალია მისთვის არა სასურველი მოვლენა იყო, მაგრამ მან მეტის ვაჟკაცური აზრითა და ბრძნული შორს მჭვრეტელობით შეიგნო ისიც, რომ უფრო არა სასურველი და გაუმართლებელი იყო ამ მისთვის არა სასურველი რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა და ომები. „საწუთროსა ვერვინ შესცვლის,“ ისტორია თავის ურყევი გზით მაინც ივლის და ამიტომ ყოველი ინტერვენცია, ყოველი აჯანყება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ უდრის რუსის ხალხის სასაკლაოზე გაყვანას, როგორც დანაშაულსაც ჩვენ ვერ ვიკისრებთო-ო თქვა რუსის ინტელიგენციამ. მართალია პირადი, ჯგუფური თავმოყვარეობა დაჟინებით გვეუბნება თუ გინდ ისტორიულად განწირულს ჩვენს მდგომარეობას თან გადავყვეთ და კლასიური პატივი სიკვდილის წინაც სახელოვნად დავიცვათ (რასაკვირველია ბურჟუაზიული თვალ-საზრისით), მაგრამ არსებობს უფრო მაღალი თავმოყვარეობა, უფრო დიდ კოლექტივისაგან მიღებული, რომელიც ჰკლავს ყოველივე პირადს და ასე გასინჯეთ, რჩეულთათვის კლასობრივ ეგოიზმსაც.

ამ სოციოლოგიურ კატეგორიას ერი ეწოდება, მხოლოდ ამ გამწვავებული სამოქალაქო ომის დროს, მისი ინტერესებისადმი ასეთს გულწრფელს კმევას უმაღლესი პატრიოტიზმი და მამულისშვილობა ახასიათებს, რაც აღმოაჩნდა რუსის ბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც კი.

მერე ისარგებლა რუსის ინტელიგენციის ამ გმირული გაკვეთილით ქართველმა ინტელიგენციამ სავსებით? ან მოჰკრიბა თუ არა მან თავის სულიერ სიმდიდრეში იმდენი ძლიერება, რომ იგი ტროცკის თქმის არ იყოს, შემოსულიყო საბჭოთა სახლში პატრიოტიზმის გზით?

სამწუხაროთ ყოველმხრივად დამაკმაყოფილებელს პასუხს არ გვაძლევს ის ფაქტები, რომელსაც ყოველ დღიურ ცხოვრებაში ვხვდებით და უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ: ქართველი ინტელიგენციის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ვერ ამაღლდა პატრიოტიზმის მწვერვალამდის და თვის ჯგუფური ეგოიზმს ანაცვალებს სწორედ იმ ერისა და ქვეყნის ინტერესებს, რომელზეც ასე მოხერხებულად და დემაგოგიურად იგი ლაპარაკობს ყოველს გზა-ჯვარედინზე.

ნუ თუ არ იცის ქართველმა ინტელიგენციამ (ნაწილზე მაქვს ლაპარაკი), რომ საერთაშორისო ძალთა განწყობილება ჰქმნის საქართველოს ირგვლივ ისეთს პოლიტიკურს წონასწორობას, რომ ყოველივე ცდა ინტერვენციისაკენ, ყოველივე მუშაობა შინაურ, საბჭოთა აღმშენებლობაში ქართველი ელემენტის ჩამოცილებისათვის, უდრის პატარა ერის დადუპვას აქედ გაქანებას, მისი მდგომარეობის საბედისწერო სასწორზე დადებას?

ქართველი ინტელიგენციის ამ ნაწილმა ყოველივე ეს იცის და კარგადაც ესმის ამ მოქმედების ტრაღიკული შედეგიც, მაგრამ ძასში აუცილებლივ სჭარბობს ჯგუფური ეგოიზმი და ინდივიდუალიზმი კოლექტიურს და სოციოლოგიურ შემეცნებას. მართალია ქართველ ინტელიგენციას რუსის ინტელიგენციასთან შედარებით, მეტად ახასიათებდა პირადული და ნაკლებ ახასიათებდა თვითმსხვერპლობა, მაგრამ ის გარემოება, რომ ჩვენი ინტელიგენცია მშრომელთა წიაღიდან იყო გამოსული, ნებას გვაძლევდა გვეფიქრა, რომ იგი რუსის ბურჟუაზიულ ინტელიგენციას მაინც არ ჩამორჩებოდა.

მოხდა წინააღმდეგი და ჩვენი დიაგნოზი ამ შემთხვევაში არ გამართლდა. მენშევიკურმა და მემარჯვენე ფედერალისტთა ინტელიგენციამ ბრძოლა გამოუცხადა მშრომელთა ძალა-უფლებას და თავიანთ სოციალ-პოლიტიკურს, აწ უკვე გაკოტრებულს კონცეპციას უმსხვერპლა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები. წარსული ტფილისის საბჭოთა არჩევნები ამის საუკეთესო ილუსტრაციაა გახლავთ. მემარჯვენე ინტელიგენციამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს და მით ქართველი მშრომელი ხალხი სახელმწიფო აპარატისაგან მოინდომა ჩამოშორებინა. ამით მემარჯვენე ინტელიგენციამ ომი გამოუცხადა იმ ერთგვარს სახელმწიფოს, რომელზეც ის ყოველ-დღე ფარისევლურს, ყალბს სცემს და მოინდომა უცხო ელემენტების კუთვნილებად გაეხადა საქართველოში მშრომელთა აღმშენებლობა. ჩვენს ინტელიგენციას არ აღმოაჩნდა პატრიოტული გრძნობით გამთბარი გული გულ ვაჟკაცური მსხვერპლის გაღებისა და ამიტომ თვის მეშჩანური ინდივიდუალური სტიქიას გაჰყვა. ამ მემარჯვენეთა სულიერ განწყობილებას დაემორჩილა ჩვენი ძვირფასი თაობა—სტუდენტობის საკმაოდ დიდი ნაწილი და გულუბრყვილოდ მოტყუებულნი, ისინი ცრუპატრიოტიზმის პათოსით თავისდა უნებურად ერის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ.

ნუ თუ, რომ გონს მოვიდეთ, რომ შევიგნოთ მომენტის სირთულე ქართველი ერისა და მშრომელი ხალხისათვის, საჭიროა რუსეთის სისხლიანი გაკვეთილის საქართველოში გადმოცემა?—არ გვგონია და ამიტომ კვლავ მოუწოდებთ მათ, ვისაც ჯერ კიდევ გაგების უნარი არ დაუკარგავია.—მოვიდეს აქ, სადაც ქართველი მშრომელისა და ერის ბედი იჭედება—საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლად და მით თავი იხსნას შთამომავლობის კრულვისა და ისტორიის გასამართლებისაგან.

ამას იქმს ყველა, ვისთვისაც ეროვნული მომენტი არის ერთი Ultima ratio.

ეფ. ხაჩინოვი.

## † ვლადიმერ გალაკტიონის ძე კოროლენკო

ჩაქრა ერთი უბრწყინვალესი სიცოცხლე ერთი საუკეთესო ადამიანისა და დიდი შემოქმედისა. რუსეთმა 1921 წ. დაკარგა ერთი რჩეული მწერალთაგანი ვლ. გალაქტიონის ძე კოროლენკო.

კოროლენკო დაიბადა 15 ივნისს 1853 წელს ჟიტომირში. მამა მისი იყო ყაზახი და დედა პოლონეთის მემამულის ქალი ვოლინიდან. ბავშვობა და სიჭაბუკე კოროლენკომ გაატარა ვოლინში, სადაც სხვა და სხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა: პოლონელები, რუს-უკრაინელები და ებრაელები, რომელთა შორის ცხოვრებამ თავისებური კვალი დაამჩნია კოროლენკოს შემოქმედებას. კოროლენკოს ბუნებრივ მიდრეკილებას ხელი შეუწყო 70 წლების რუსეთის საზოგადოებრივმა ალტრუისტულმა მიმართულებამ.

1870 წ. კოროლენკომ დაასრულა რეალური სასწავლებელი. ამ ხანებში მამა უკვე გარდაცვლილი ყავდა და ყოველ ნივთიერ სახსარს მოსპობილი ის მიდის პეტერბურგში და შედის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში. სიღარიბისა გამო მან უადრესი გაჭირვება გამოსცადა. 1872 წ. ენერგიული დედის მეცადინეობით მან შესძლო გადმოსვლა მოსკოვში, სადაც სტიპენდიანტად მიღებული იქმნა პეტროვსკო-რაზუმოვსკის მეურნეობა აკადემიაში.

1874 წ. კოროლენკო აკადემიიდან გამორიცხული იქმნა კოლექტიური თხოვნის მიცემისათვის ამხანაგების სახელით და გადმოვიდა პეტროგრადში, სადაც ცხოვრობდა თავის ძმებთან ერთად და თავს ირჩენდა კორექტორის მუშაობით. 80 წლების დასაწყისში ის გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში იაკუტსკიდან 300 ვერსის მანძილზე. ციმბირის უკულტურო რომანტიულმა ბუნებამ, იაკუტმა ტაგამ, გადასახლებულთა უცნაურმა ცხოვრებამ, ბედისწერით ბლასვსებ, სიმართლის მაძიებელთა ყოფამ მხეცსა და მაწანწალა ხალხთა გვერდით, საუკეთესო მასალა მისცა კოროლენკოს ხელოვნურ შემოქმედებას, რომლის შთაბეჭდილების ქვეშ მან დასწერა ესანიშნავი თხზულებანი, როგორიც არის: „ძილი მაკარისა“, „ციმბირელ ტურისტის წერილები“, „სოკოლინეც“, „უკანასკნელ განყოფილებაში“ და სხვა.

ციმბირიდან დაბრუნებულ კოროლენკოს ნება მისცეს ნიჟნენოვგოროდში ცხოვრებისა, სადაც ის იმყოფებოდა 1894 წ. ამ ხნის კოროლენკოს ნაწარმოებში იხატება ზემოვოლგის ცხოვრება, მთელი თავისი უმწეობით, სიბნელით და სიმწუხარით. „მზის დაბნელება“, „ხატის უკან“, „მდინარე თამაშობს“, „მშიერი წელიწადი“ და სხვა.

1894 წ. კოროლენკო გაემგზავრა ინგლისში და ამერიკაში, რომელთა შთაბეჭდილებით დასწერა: „უენო“. 1895 წ. კოროლენკო შეუდგა „Русская Богатство“-ს გამოცემას, რომლის მიმართულებას მთლიანათ იზიარებდა. წინათ მისი ნაწერები იბეჭდებოდა „Русская Мысли“-ში.

ა ყოველი უდანაშაულო დასჯილი პპოვებდა ვლ. გ. კოროლენკო მხურვალე მოსარჩლეს, თითეული საზოგადოებრივი მოვლენა იწვევდა მასში გულმტკივნეულ გამოძახილს, ეს იყო არა მარტო დიდი ხელოვანი, ეს იყო სიმართლისათვის თავდადებული მებრძოლი. დიდმა რევოლიუციამ კოროლენკოს მოუსწრო მოსკოვში, სადაც ის ბრძოლისაგან დაქანცული უკანასკნელ დროს ცხოვრობდა. თებერვლის გადატრიალებას კოროლენკო სრული სიმშვიდით შეხვდა, სოც. რევოლიუციას არ შეუშინებია იგი. წინააღმდეგ, გაბედულად უცქერდა ამ რევოლიუციის ალის პრიალს, რომელსაც უნდა გადაეწვა ის სივე, რომლის აღმოსაფხვრელად თვითვე სიყმაწვილიდან იბრძოდა. 1921 წ. კოროლენკო გარდაიცვალა. მან ვერ მოუსწრო რევოლიუციის მიერ წამოყენებულ დიადი იდეების განხორციელებას, მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა გამარჯვებულ მშრომელი ხალხი მიაკითხავს დიდებულს საფლავს დიდებულ ხელოვანისა და მამულისშვილსს და ჩასძახებს: დავამკვიდრეთ შრომის სუფევა და აღვადგინეთ შენი საყვარელი სიმართლე, არა თუ რუსეთის მიწაზე აგრეთვე მთელს მსოფლიოში“.

## ახალი ამბები

— ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი, 16 იანვარს გამართავს სახალხო სახლში დიდ სახალხო კონცერტს 4 განყოფილებად, საუკეთესო სახალხო მომღერლების მონაწილეობით.

— როგორც გადმოგვცეს ტ. გრანელმა დასწერა ახალი პოემა: „შუა დამის აღსარება მამას“, რომელიც ამ მოკლე ხანში ავტორის მიერ წაკითხულ იქნება ხელოვანთა სასახლეში.

— იანვარში გამოვა ტერენტი გრანელის ლექსების კრებული: „უდაბნოს ყვავილები“ წიგნი შვიდ ციკლად არის დაყოფილი: „სულის საფლავები“, „ლანდემინები“, „კვირის წირვები“, „უხილავი სივრცეები“, „სამგლოვიარო ხაზები“, „შუაღამის ლიტურღია“, „უდაბნოს ყვავილები“.

## მუშათა და გლეხთა ინსპექციების გახსნა მაზრებში

ამ ქამად მაზრებში მშრომელთა მასის დიდი გაკვირვება გამოიწვია მუშათა და გლეხთა ინსპექციების გახსნამ. მუშურ-გლეხურ მეთვალყურეობის მაზრებში მოხსნის წინა დღეებში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში მოხდა ხელმძღვანელთა ყრილობა, რომელსაც ქონდა დიდი მნიშვნელობა საბჭოთა აღმშენებლობაში და, რომელმაც დაისახა მომავალ მუშაობაში ამ მეთვალყურეობის პრაქტიკულად გაფართოვება მშრომელთა მასის ჩაბმით. არ გასულა ორი კვირა მას აქეთ და ეს მუშურ-გლეხური მეთვალყურეობა მაზრებში სრულიად მოიხსნა. თუ ეს მოხსნა აიხსნება საერთოდ შტატების შემცირებით, ეს შტატების შემცირება არ არის: ეს არის ლიკვიდაცია მაზრაში არსებული საბჭოთა დაწესებულებების და მასთან ისეთის, როგორიც არის მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომლის მოვალეობის ასრულება შეუძლებელია მიენდოს ან გადაეცეს სხვა დაწესებულებას.

მართალია, აუცილებელი საჭირო იყო შტატების შემცირება და თუ ეს მოხსნა გამოწვეულია ამ შემთხვევით ეს შემცირება არ უნდა ყოფილიყო მიყვანილი იმ მინიმუმამდე, რომ ეს მინიმუმი თვით დაწესებულების არსებობას სპობდა.

ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რა მნიშვნელობა აქვს მუშურ-გლეხურ მეთვალყურეობას საბჭოთა მმართველობის სისტემაში: ინსპექცია არის ერთად-ერ-

თი დაწესებულება, რომლის არსებობით და საშუალებით მშრომელი მასა ჩაებმება საბჭოთა აღმშენებლობაში და მართლაც, მშრომელი მასა დიდი იმედებს ამყარებდა ამ დაწესებულებაზე, ის უყურებდა მას, როგორც მშრომელთა ინტერესების დამცველს, რაც რომელიმე საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელნი მოეპყრობოდა მას უკანონოდ.

ჩვენ, გლეხებს, იმედი გვაქვს და დარწმუნებულიც ვართ, რომ ეს გაუგებრობა იქნება გამოსწორებული და მშრომელთა მასას მიეცემა ისევ ის დაწესებულება, რომლის საშუალებით ის ჩაებმება საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში მართალია, მუშათა და გლეხთა ინსპექციის არსებობა მაზრაში, მუშურ გლეხურ მეთვალყურეობა ზოგიერთს ვერ ესიამოვნება, ბევრს „ხელს უშლის“ მაგრამ თვით საბჭოთა ხელისუფლების მაზრაში გამტკიცება და საერთო სახელმწიფო ეკონომიური ინტერესების დაცვა ითხოვს დაუყოვნებლივ ისევ იქნეს ყოველ მაზრაში მუშურ-გლეხური მეთვალყურეობა აღდგენილი.

ბ. გლეხი.

## დროებითი განმარტება.

ტ. ტაბიძემ გრ. ცეცხლაძის საღამოზე განაცხადა: „რომ გაზეთი „ქუთაისი“ თვისი ფორმატით „ბარიკადს“ გავს. ლექსებს თითქმის ყველას ყანწელების გავლენა ეტყობა, მაგრამ ეს ბიჭებიათ, რადგან ისინი ჩვენ მოგვყვებიან“.

ამ მოსაზრებათა შორის არც ერთი არ არის მართალი.

პირველი: მრავალი გაზეთები „ბარიკადი“-ს ფორმატისა არიან, მაგრამ ამითი იმისი თქმა არ შეიძლება, რომ თითქოს მათ „ბარიკადისაგან“ გადაეღოთ ფორმატი.

ისეც რომ არ იყოს, „ქუთაისი“-ს დამპატრონეები ტექნიკურათ ვერ მოვახერხეთ, რომ „ბარიკადი“-ს სიგრძის არ ყოფილიყო. (ნეტავი რა უნდოდათ ამითი ეთქვათ).

მეორე: არც ერთი ჩვენი ამხანაგი „ყანწელები“-ს გავლენას არ განიცდის (გარდა ერთი ლექსისა, რომლის ავტორს ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვს. იგი შემთხვევითი აგზავრია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ესეც ასე იყოს, „ყანწელებს“ ამისი თქმა არ შეუძლიათ, რადგან ვერც ერთ ჩვენგანს ისინი კარგათ ვერ იცნობენ).

მესამე: რომ ჩვენ „ცისფერ ყანწელებს“ მივყვებით-სიცრუეა. ჩვენ ჩვენი სიტყვა ჯერ არ გვითქვამს და სათანადო დეკლარაციაც ჯერ არ გამოგვიქვეყნებია. ჩვენს გამიჯვნის შესახებ ვიტყვით „ქუთაისი“-ს შემდეგ ნომერში. ხანამდის კი არა მკითხე ვეებატონებს უფლება არა აქვთ ჩვენს ფიზიონომიაზე ილაპარაკონ.

რაც შეეხება ვ. იაშვილის თქმას: „თითქოს ახალგაზრდებში არ იყოს პერსპექტივა რაიმე ახალის შექმნისა“, ვიმედოვნებთ ამ სიყალბეს ავხადოთ ფარდა და დავანახოთ „ურწმუნო თომებს“ ჩვენი ქართული რწმენა.

არ არის მართალი ისიც, რომ თითქოს ჩვენს წრეში სამასი კაცი იყოს. (საინტერესოა, ვ. იაშვილს საიდან მოსდის ასეთი „უტყუარი ცნობები“).

ჩვენი ჯგუფი ცხრა კაცისაგან შედგება, მხოლოდ მათ აქვთ უფლება ატარონ „ფენიქსელი“-ს სახელი.

და ასე.

ყოველივე ამით ჩვენ ვეცდებით ახლო მომავალში დავუმტკიცოთ მკითხველ საზოგადოებას, რომ ამით შეიმცნონ „ახალ მუსეთა“ კოლეგიამ, თუ ვინ მიჰყვება მათ და ან ვის უნდა ეპატიოს შეცდომები.

„ფენიქსელი“.

## უცხოეთი

ნაუენი. 3 იანვარი. (რადიო) გზათა მიმოსვლის მინისტრმა მიაღწია შეთანხმებას რკინის გზების წარმომადგენელთან, დაადგინეს 15 იანვრისთვის მოიწვიონ კონფერენცია სამუშაო ქირის გადიდების საკითხის გასარჩევად. ამასთან დაკავშირებით რკინის გზების დელეგაცია შეპირდა რომ ისინი დაუყონებლივ შეუდგებიან მუშაობას. მიუხედავად ამ დადგენილებისა რკინის გზებში ეწევიან გაძლიერებულ აგიტაციას გაფიცვის შეწყვეტის წინააღმდეგ, ეს პროპაგანდა ბევრ რაიონებში წარმატებით ტარდება. მაგრამ რაიონების უმრავლესობამ მაინც გადასწყვიტა შეუდგეს მუშაობას.

ბორდო, 3 იანვარი, (რადიო) გაფიცვის შემდეგ რკინის გზებზე მიმოსვლის შეჩერების გამო შეწყვეტილია მუშაობა ლოტარინგიის ქარხნებში. ირკვევა, რომ უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში გერმანია სისტემატიურად ამცირებდა ლოტარინგიისათვის ნახშირის მოწოდებას.

ლონდონი. 20 დეკემბერი. „ტაიმსი“ ითვალისწინებს იმ შესაძლებლობას, რომელსაც შეუძლია დაღუპვამდის მიიყვანოს მოკავშირეთა ფრონტი. „დეილ-ქრონიკლ“-ი ამაზე წერს: საფრანგეთის პოლიტიკა ისეთია რომ იგი ყველაში ბადებს იმ რწმენას, რომ საფრანგეთი და ინგლისი წარმოადგენენ არამც თუ გაერთიანებულ ძალას, არამედ ისინი მოქმედებენ ერთი მეორეს წინააღმდეგ.

ბორდო. 2 იანვარი, (რადიო) საფრანგეთის ჯარმა 1 იანვარს დასცალა დინქაპი. სადაც დაუყოვნებლივ შეუყვა ოსმალეთის ჯარი. კილიკიიდან წავიდა 6000 სომეხი, რომლებიც მივიდნენ ბეირუთში, სადაც მათ გულკეთილად შეხვდნენ სომხები შემდეგ გადაგზავნენ მუგულ ადგილებში, სადაც მუშათა ხელის დიდი ნაკლებობაა, როგორც საერთოდ მთელ ახლო აღმოსავლეთში.

პარიზი. 2 იანვარი. (რადიო) კილიკიაში საფრანგეთის ჯარის მიერ ევაკუაციის დამთავრების გამო, იგი 4 იანვრიდან გადადის ოსმალეთის ხელისუფლთა ადმინისტრაციის უფლებაში. მიღებულ ცნობებით, ქემალისტები გულკეთილად ეკიდებიან მოსახლეობას, განურჩევლად რასისა და სარწმუნოებისა. საფრანგეთის ჯარის ევაკუაცია მოხდა სრული წესრიგით, საფრანგეთის ხელისუფლებმა სრული დახმარება გაუწიეს იმ სომხებს, რომლებმაც არ მოისურვეს კილიკიაში დარჩენა.

ლონდონი. „დეილ ქრონიკელი“ აღნიშნავს რა ახალ საერთაშორისო კონფერენციის საჭიროებას, სწერს: ამ კონფერენციამ უნდა განიხილოს ევროპის ყველა პრობლემები: ანაზღაურების, განიარაღების, აღმოსავლეთის და რუსეთის პრობლემები და ბოლოს ევროპის ეკონომიურად გამაგრების პრობლემები. წერილის ავტორი შემდეგ სწერს: რაც შეეხება რუსეთის პრობლემას, ევროპაში არ შეიძლება მიხწეულ იქნას მტკიცე მდგომარეობა, სანამ რუსეთი ახლად არ იქნება მიღებული ცივილიზაციურ ხალხთა კავშირში. ლენინმა წინადადება მისცა ომამდის აღებულ ვალების აღიარების შესახებ. საჭიროა ვისარგებლოთ ამ წინადადებით და მივიღოთ რუსეთიდან პირობა ევროპის საერთო თანხმობით, რომელიც შეზღუდავს მის შეიარაღებას და მოაწესრიგებს ომამდის აღებულ ვალების საკითხს. ავტორი წინადადებას იძლევა ასეთ კონფერენციის ადგილად დანიშნოს რომი. წერილის ავტორი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ევროპა უცდის ამერიკის ინიციატივას ევროპის საქმეების გადასაწყვეტად. უბრუნდება რა ისევ რუსეთის საკითხს, ავტორი აღნიშნავს მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთის ვალების საკითხის, ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის და სხვა საკითხების განხილვის საჭიროებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის მიწვევა. ლენინის წინადადება სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ ჯერ კიდევ ძალაშია. ჩვენ უნდა მივიღოთ ეს და ვიმოქმედოთ ამისდა შესაფერისად. ასე ათავებს „დეილ-ქრონიკლი“ თავის წერილს.

## საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

ტყის საქმე.

ტყეების მხრივ მთელი მაზრა დაყოფილია 2 რაიონად: ქუთაისის და ბაღდადის, რომელთა სივრცე აღემატება 200,000 დეს. ამ ტყეებს განაგებს ერთი „ლესნიჩი“ თავის თანაშემწით და 18 მცველით. აჯამეთის აგარაკში დამზადებულია ამ ჟამად 500 კუბიკური საჟენი. მუშა-მოსამსახურენი იგზავნებიან შეშის დასამზადებლად და ხოლო მოჭრილი შეშისა გადაყვანის სახელმწიფო ფონდში. ვინაიდან ქუთაისის სატყეო მოედანის ორ რაიონად დაყოფა მიზანშეუწონელია და სახელმწიფო მეთვალყურეობისათვის მიუწდომელი, რის გამოც ქურდობას და ტყის ფარულად მოჭრას ბევრგან აქვს ადგილი, განზრახულია 4 რაიონად დაყოფა, თავ-თავიანთ შტატით.

შრომის საქმე.

ქუთაისის სამაზრო რევკომთან არსებულ შრომის განყოფილებას, რომლის კომპეტენციას შეადგენს შრომის სანიტარული და ტეხნიკური დაცვა-მეთვალყურეობა, უმუშევართა აღრიცხვა, მათი განაწილება და მიზანშეწონილად გამოყენება, იძულებითი ბეგრის გატარება და შრომის მობილიზაცია, დღიდან თავის არსებობისა, აქვს გამოცემული დეკრეტ-დადგენილებანი განსახორციელებლად და დამატებითი 40 ბრძანება-განკარგულებანი. უმთავრესად ეს ცირკულიარები და ბრძანებები შრომის დაცვა და ნატურ ბეგარას ეხება. უმუშევართა რიცხვი, რომელიც აღნუსხულია ქალაქ ქუთაისში შეადგენს 2430 კაცს: რომლიდგანაც 440 ქონებრივ შრომის წარმომადგენელთა და 1995 ფიზიკური მუშა, აღრიცხვაზე აყვანილია 80 მეურმე და 15 მედროგე. აგრეთვე გამოწვეულია სხვა და სხვა პროფესიის წარმომადგენელნი, სულ 100 კაცამდე. ნაწილი მუშებისა გადმოყვანილია უვარგის ბინებიდან, განაპირა უბნებიდან უკეთეს ბინებში და ცენტრალურ რაიონში.

სასამართლო საქმე.

ქუთაისის სამაზრო რევკომს მთელი მაზრა დაყოფილი აქვს 9 სამოსამართლო უბნებად, ქუთაისი კი 5 უბნად, თვითეულში დანიშნულია 1 მოსამართლე და 1 გამომძიებელი. შემოღებულია აგრეთვე ყოველ რაიონში და თემში სახალხო [illegible] ინსტიტუტი, რომლის საქმეთა გარჩევაში მონაწილეობას იღებენ პროფესიონალური კავშირის წევრნი და გლეხები, დღიდან იურიდიულ განყოფილების დაარსებისა 10 ნოემბრამდე აღძრულია 2500 საქმე, რომლიდანაც დამთავრებულია მხოლოდ 1200 საქმე [illegible] ირჩევა ყოფილ სამოქალაქო სასამართლოს მიერ გადმოცემული საქმეები.

სხვა და სხვა საქმეები.

ამ ჟამად ქუთაისის სამაზრო რევკომს განზრახული აქვს მდინარე ყვირილაზე გააკეთოს ხიდი, რომლის პროექტი უკვე შედგენილია და საბოლოო დასკვნისათვის გადაცემულია სპეციალისტ-ექსპერტებისათვის.

საგანგებო სანიტარული გადასახადი მთელ მაზრაში სავსებით აკრეფილია მხოლოდ თვით ქალაქ ქუთაისში ხავარაუდევ ოთხ მილიარდს აკლია რამოდენიმე ასეული მილიონი, რის აკრეფაც დამთავრდება ამ მოკლე ხანში.

ქალაქ ქუთაისში დამთავრებულია საშტატო კომისიის მუშაობა. ქალაქ ქუთაისში შემოკლებულია მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 50 პროცენტით, ზოგიერთი განყოფილებანი სრულიად გაუქმებულია.

ქალაქ ქუთაისში და მის მაზრაში შემოღებულია ვაჭრობაზედ, გაცვლა-გამოცვლაზედ ბაჟების გადახდა, რაც უმთავრესად გამოწვეულია ფინანსების სიმცირით.

ქუთაისის მაზრაში ამ ბოლო ხანებში იჩინა თავი ყაჩაღობამ და ბნელ ელემენტთა თავგასულობამ, ზოგიერთ რაიონებში, როგორც არის სვირის და ბაღდადის რაიონები. ამ რამოდენიმე დღის წინათ თვით ქალაქ ქუთაისის განაპირა უბანში ჰქონდა ადგილი ყაჩაღების თავდასხმას, რომლიდგანაც ერთი მოკლული იქმნა და ორი კი ჯერ-ჯერობით აღმოუჩენელია. ეს უმთავრესად აიხსნება ადმინისტრაციის სისუსტით და ნაწილობრივ მისი გახრწნით. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ ადმინისტრაცია ნივთიერად არ არის უზრუნველყოფილი.

ხალხის სულიერი განწყობილება

კონტრ-რევოლიუციონერების გამოსვლას და შეთქმულებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული ელემენტები ფარულად აწარმოებენ მუშაობას და ჩვენ ნაყოფიერ [illegible] ცხოვრების მოწესრიგების და პოლიტიკურ [illegible] უშლიან. ხალხში რაიმე ფართო ხასიათის უკმაყოფილებას ადგილი არა ჰქონია და არც აქვს, თუ ასეთი რამ მოხდა, მხოლოდ ადგილობრივ მნიშვნელობის და გამოწვეულია მხოლოდ ამა თუ იმ ხელისუფლების წარმომადგენლის უკანონო ან მიზან შეუწონელ მოქმედებით, პირიქით ხალხში ერთობ ნდობა აქვს მოპოვებული არსებულ მთავრობასთან და მას, რითაც და როგორც კი შეიძლება ხელს უწყობს, თავის სურვილით იღებს ხარჯს და გამოდის სამუშევრად ამა თუ იმ საზოგადოებრივ მნიშვნელობის გაუმჯობესებათა შესასრულებლად. სარწყავ არხების გაყვანა გაფართოვება ახალ გზების და ხიდების გაკეთება და შეკეთება, ბოროტ-მოქმედებათა აღმოჩენა, ნატურ-გადასახადის შესახებ სწორი და სწრაფი ცნობების მოწოდება, მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება, საბჭოთა მამულების მოვლა-პატრონობა, ყველა ეს კეთდება მშრომელთა დახმარებით და მონაწილეობით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებულ ეკონომიურ კრიზისისა და გვალვების და შემდეგ შემოდგომის თვეებში ხშირი წვიმების გამო მოუსავლიანობა.

საჭიროა მაზრისათვის მეტი ყურადღება და დახმარება, როგორც ფინანსიური, ისევე ეკონომიური, რომ დაძლეულ იქმნას არსებული კრიზისი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვა
განაახლა მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნტი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელ რაზმის უკან. ახალბებუთოვის ქ. № 5. (Новобебутовская.) 1

დავკარგე სტუდენტობის მოწმობა, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.
დავით ივანეს ძე პურადაშვილი.

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან №... გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.
სტუდენტი-აგრონომი ნ. დოლაბერიძე.

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კონსტანტინე მაღრაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

## გამორჩენილი და დავიწყებული

(მწერალი მელანია ბადრიძე *)

(გაგრძელება.)

საინტერესოა მესამე მომენტიც, ოჯახური ხასიათის ზეიმობა, მელანია ბადრიძე როდესაც სწერს ტფილისის „წარმატებას“, ერის კულტურის გზაზე „აღდგომას“, ამბობს რომ ეს მეორედ გზეიობდიო. „მაგრამ სრულ დამშვიდებისათვის, სწერს იგი, მე მაკლდა კიდევ ერთი სიხარული; არ ვიცოდი ჩემი მშობლებიდან (რომელნიც ღვთის მადლით ცოცხლები ყოფილიყვნენ) დასტური ჩემი საქმისადმი და ჩემი ცხოვრების მიმართულების გამო, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, კეთილი მოხუცები ჰხედავდნენ ბევრს შეუსაბამობას მათ შეხედულებებთან და გამოუსადეგარად მიაჩნდათ ის, რაც ჩემის აზრით აუცილებელი იყო. მაგალითად დიდი შრომა დამჭირდა, რომ გამეგზავნა შინა ერთი ჩემი ძმათაგანი პეტერბურგის კადეტთა კორპუსში. ვიყავი რა დარწმუნებული, რომ ჩვენი ახალგაზრდობისათვის სასარგებლო იყო რუსული განათლება და იმავე დროს, მიყვარდნენ რა ჩემი ძმები ჩემზე ძლიერ, მე მოვახერხე ჩემი მშობლების დაყოლიება ჩემს წერილ სურვილზე. (იმ დროს მე 18 წლისა ვიყავი); მოხუცმა დამითმეს, თუმცა ძალაუნებურად და შემდეგ დიდხანს [illegible] უკმაყოფილებით, თუმცა [illegible] ვიყავ მათგან ბოლოს განგებმ მეც ეს სიხარულიც გამომიგზავნა. ჩემი გამარჯვება [illegible] ამბებზე, რუსმა მეთაურებმა და ჩემმა კეთილის მყოფელმა, რომლებთან ნაცნობობას ტფილისში კვლავ განვაგრძობდი, მიიღეს ჩემი მშობლებისაგან წერილი შემდეგი შინაარსის: ღვთის გულისათვის შეგვატყობინეთ ჩვენი ქალის ამბავი. მას კი გადაეცით, რომ ბევრ შემთხვევაში ჩვენ არ გვესმოდა მისი, ვერ ვაფასებდით, და დღეს კი ვრწმუნდებით. მის საყვარელ ძმებს, რომლებიც ძალით წაგვართვა, რომ კადეტთა კორპუსში გაეგზავნა, გაუთავებიათ სასწავლებელი. უფროსი არტილერისტი გამოსულა, უმცროსი ქვეითი და წავიდა [illegible], არტილერისტი კი ჩამოვიდა ჩვენთან, ახსოვს მხოლოდ თავისი და, და ჩვენ ვერც კი გვიცნო. მან მოიტანა პეტერბურგიდან დიდი ფაიფურის წითელი კვერცხი, მაცხოვრის აღდგომის სურათით და გვითხრა, რომ წარსულ წელს, აღდგომას შვიდი რჩეული კადეტი წარუდგენიათ მეფისათვის სასახლეში და რომ დიდმა მთავარმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ აკოცა მათ და სათითაოდ აჩუქა ეს ფაიფურის კვერცხები საკუთარ, მეფურ ხელით. წარმოიდგინეთ ჩვენო მეგობრებო ეს მოულოდნელი ბედნიერება. ჩვენმა ქალმა გააბედნიერა ძმები, ჩვენ კი მას უსაყვედურებდით, რომ შვილები წაგვართვა და ციმბირში გადაგვაკარგვინა. უთხარით, რომ ეხლა ვლოცავთ მაგას, ძმა კი ხატის წინ ინახავს მეფის ფას-დაუდებელ საჩუქარს და ამბობს: მაჩვენეთ ჩემი და, ის არის ჩემი ბედნიერების მიზეზი და მანვე უნდა შეინახოს ის ძვირფასი საუნჯე. ეს სამო და სამღვთო მოვალეობაა, მას ეკუთვნის სრული უფლება... უთხარით კიდევ, რომ ვხედავთ, თუ ქვეყანა როგორ გამოიცვალა, თუ როგორ დედ-მამა ფულებს ხარჯავენ ქალების განათლებაზე და, რომ მისი რუსული წერა-კითხვა არც ჩვენთვის და აღარც სხვისთვის არ არის დასაწუნი და გასაკიცხი... და სხ.., ეს წერილი ორი მხრივ არის საინტერესო: 1) როგორც საუკეთესო დოკუმენტი, ქართველ საზოგადოების სულიერ განწყობილების მაჩვენებელი [illegible] არჩილ ჯორჯაძე რომ სწერდა: —„თუ გინდათ შეისწავლოთ ამა თუ იმ ეპოქის აზრი და ხასიათი, ქალების წერილებს მიმართეთ, იქ ალერსის ფორმით ამოიკითხავთ დროის პრაქტიკულ ფილოსოფიას და შესაფერ პრაქტიკულსავე დარიგებას“-ო. 2) ეს წერილი თვით მელანია ბადრიძის არსებასაც აშუქებს. ეს წერილი აზარებს, ძმების ბედნიერებას აღტაცებით ხვდება და ერთგვარი ამაყი პოზაც უჭირავს, როგორც გამარჯვებულს. დღევანდელი თვალსაზრისით, რასაკვირველია საცოდავ სანახაობას წარმოადგენს როგორც მელანია ბადრიძის მოტყუებული იმედიანობა, ისევე მისი დროის საზოგადოების ლაგამ ახსნილი სიხარული, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით კი ამ მდგომარეობას უმსუბუქებს ამ ერის კეთილდღეობის [illegible].

მელანია ბადრიძის ავტობიოგრაფიიდან ამას იქით აღარას იღებს რუსულ წინასიტყვაობის ავტორი: ჩვენც აღარ ვიცით, აქ თავდება იგი თუ კიდევ მეტი რამ იყო მოთხრობილი. შეიძლება აღმოჩნდეს დედანი. მანამდე კი მგონია, რომ ამ ნაწყვეტებითაც უკვე მოცემულია ამ გამორჩენილ და დავიწყებულ ქალის პორტრეტი.

ამ ავტობიოგრაფიის გამო ამდენ ხანს მიტომ შევჩერდი, რომ ჩემის აზრით კარგა დაწერილი ავტობიოგრაფია იგივე მხატვრული შემოქმედებაა, თანამედროვე მოთხოვნილებების თვალსაზრისითაც ხომ გამართლებულია, რადგან დღეს ახალ ლოზუნგად საკუთარ ცხოვრების წიგნის დაწერაა გამოცხადებული და უმთავრესად კი მიტომ შევჩერდი, რომ რამდენათაც ვიცი, მთელ ქართულ მწერლობაში ეს პირველი ავტობიოგრაფიაა, ამ სახელის შინაგანი გამართლებით. რასაკვირველია, ჩემს თარგმანში არ არის მოცემული მელანია ბადრიძის სტილი, რაც მის ავტობიოგრაფიას სულს აცლის. სტილი მწერლისთვის ყველაფერია. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბადრიძე ორიგინალური და საინტერესო მწერალია. ორიგინალური და თავისებური უფრო ამ ავტობიოგრაფიით, ვიდრე იმ მოთხრობით, რომლის ნაწილია მხოლოდ შენახული რუსულ თარგმანით, ამ მოთხრობის კრიტიკული შეფასება შემდეგ.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

(დასასრული).